

საქართველოს პარლამენტი

შპს „ახალი ქსელების“; შპს „ახტელის“;

შპს „სისტემ ნეტის“;

გ ა ნ ა ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ ელექტრონული კომუნიკაციის სფეროში არსებული რეგულირების სამართლებრივი მხარე, მიზნად ისახავდა რა კერძო, ფიზიკური პირებისათვის, სარგებლის მოტანას, მორეგული იყო რა პირთა გარკვეული წრის ინტერესებზე. რის გამოც, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ხდებოდა სამართლის პრინციპებისა და კონკრეტული კანონის ნორმათა დარღვევით, კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, ინტერესების შელახვა, რისი შედეგიც გახდა, მათთვის დიდძალი ფინანსური ზარალის მიყენება.

წარმოგიდგენთ, რამდენიმე სამართლებრივ ნორმას, რომელიც ჩვენი აზრით, მოითხოვს ცვლილებას და რომელთა თქვენს მიერ სათანადოდ შესწავლის შედეგად, ვფიქრობთ უნდა დადგეს კონკრეტულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი.

1. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქ. კანონის მე12 მუხლის 4-ე პუნქტით რეგულირდება, ავტორიზებულ პირთა მიერ, გადასახდელი რეგულირების საფასურის ოდენობა. 2010 წლის 16 ივლისამდე, საფასურის ოდენობა განისაზღვრებოდა შემდეგნაირად: „რეგულირების საფასურის ოდენობაა ავტორიზებული პირის საქ.-ს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ერთობლივ შემოსავალსა (დღგ-ის გარეშე) და იმავე საანგარიშო თვეში სხვა ავტორიზებული პირების მიერ, დაშვების ან/და ურთიერთჩართვის გაწეულ მომსახურებაზე აღიარებულ გადასახდელებს შორის სხვაობის 0,5 პროცენტი.“ 2010 წლის 16 ივლისის ცვლილებით კი, იგი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „რეგულირების საფასურის ოდენობაა ავტორიზებული პირის მიერ განხორციელებული და რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0,75 პროცენტი“.

აქ თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ, ერთ მეტად საინტერესო გარემოებაზე, კანონში ეს ცვლილება განხორციელებულ იქნა 2010 წლის 16 ივლისს, ხოლო 2010 წლის 1 სექტემბერს ცვლილება შევიდა „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელმაც დაადგინა რომ: „რეგულირების საფასურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეგულირებას დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0,75 %-ს“ კანონის პირველ რედაქციაში სხვაობა იყო მხოლოდ %-ის ოდენობაში და იგი შეადგენდა 1%-ს.

საკომუნიკაციო სფეროში აბონენტის მომსახურებას, შესაძლოა ახორციელებდეს ერთროულად ორი ოპერატორი (თუ ზარის წამოწყება ან დასრულება ხდება სხვადასხვა ოპერატორის ქსელში. მაგ. ახალი ქსელების აბონენტმა დარეკა მაგთის ნომერზე ან პირიქით.), რომელთა შორის ტექნიკური და ფინანსური ურთიერთობა რეგულირდება ურთიერთჩართვის ხელშეკრულებით, რომლის გაფორმებაც სასვალდებულოა ყველა ოპერატორისთვის „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქ. კანონის თანახმად. რის გამოც, ოპერატორის ერთობლივი შემოსავლის ფორმირება ხდება, როგორც აბონენტზე დარიცხული თანხებიდან, ისე ქსელების ურთიერთჩართვის მომსახურებაზე დარიცხული თანხებიდან. მაგ. „ახალი ქსელების“ აბონენტმა ისაუბრა 100 წუთი „მაგთის“ ქსელში და მას დაერიცხა 28 ლარი, რომელიც „ახალი ქსელების“ მიერ იქნა შემოსავალში აღებული. წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურისა და მხარეთა შორის მოქმედი ურთიერთჩართვის ხელშეკრულების საფუძველზე, „ახალმა ქსელებმა“ უნდა გადაუხადოს „მაგთის“ ზარის დასრულების საფასური 8 ლარი (100×0.08), რასაც თავის მხრივ „მაგთი“ აიღებს ერთობლივ შემოსავალში, ხოლო „ახალი ქსელები“ გაატარებს ხარჯებში, ანუ ახალი ქსელების „საკუთარი“ შემოსავალი იქნება 20 ლარი. წინამდებარე ცვლილებით დაწესებული რეგულირების საფასური, ამ კონკრეტული მაგალითიდან გამომდინარე, არის $28 \times 0,75\% = 0,21$ ლარი, პლუს $8 \times 0,75\% = 0,06$ ლარი ანუ ხდება ერთი და იგივე თანხის ორჯერ დაბეგვრა, ამ შემთხვევაში 8 ლარის, ხოლო საერთო ჯამში, რეგულირების საფასურის ოდენობა აღემატება, რეგულირებას დაქვემდებარებული მომსახურების მიწოდების მთლიანი ღირებულების ანუ ამ მაგალითიდან 28 ლარის 0.75% და შეადგენს 1.5 %-ს, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება „რეგულირების საფასურის შესახებ“ კანონის ძველ და ახალ რედაქციას. ასევე, ამ კანონის მე-5 მხულის მე-3 და მე-4 ქვეპუნქტებს, რადგან არც ის გარემოებაა შესწავლილი კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას რეალურად რა ხარჯი აქვს და არც ის თუ მიღებული შემოსავალი რამდენად აჭარბებს რეალურ ხარჯს.

აქვე აღვნიშნავთ, რომ მართალია ორივე სამართლებრივი აქტი წარმოადგენს კანონს და მათ სამართლებრივ აქტთა იერარქიაში თანაბარი იურიდიული ძალა აქვთ. თუმცა, „ელექტრონული კომუნიკაციების“ შესახებ საქ. კანონი გამოყენების სფეროდ განსაზღვრავს: „ დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის) ფუნქციებს“. .ხოლო საქ. კანონი „რეგულირების საფასურის“ შესახებ - „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების დაფინანსების ძირითადი წყაროს – რეგულირების საფასურის ცნებას, ოდენობას, სტრუქტურასა და გადახდის წესს.“ ამდენად მიგვაჩნია, რომ რეგულირების საფასურის განსაზღვრა არ შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს რეგულირების საფასურის შესახებ საქართველოს კანონთან.

შესაბამისად თანახმად, - „რეგულირების საფასურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტისა, რეგულირების სფეროს სპეციპიკის გათვალისწინებით, უნდა მოხდეს კომუნიკაციების სფეროში მომსახურების რეგულირების საფასურის ოდენობისა და დაბეგვრის ბაზის განსაზღვრა, თუნდაც იმ რედაქციით რაც იყო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თავდაპირველ რედაქციაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე კორექტირებას და დაზუსტებას მოითხოვს, კანონში 2011 წლის 8 აპრილს შესული დამატება:

„მუხლი 19¹. ავტორიზაციის შეჩერება და გაუქმება (8.04.2011. 4526 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს)

1. კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს ავტორიზაცია:

ა) ავტორიზებული პირის მოთხოვნის საფუძველზე, მის მიერ მითითებული ვადით;

ბ) საკუთარი ინიციატივით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტორიზებული პირი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ერთობლივად:

ბ.ა) არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას;

ბ.ბ) არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებებს ან

წარუდგენს ნულოვან გაანგარიშებას;

ბ.გ) არ იხდის რეგულირების საფასურს.

ამ პრიმა მუხლიდან ვფიქრობთ გაურკვეველია რას გულისხმობდა კანონდებელი ვადის განმარტებაში სადაც მითითებული - „ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში“, სადაც არც ამ ერთი წლის ათვლის წერტილი ჩანს და არც ის ერთ წელზე მეტი რამდენი შეიძლება იყოს, ასევე ბუნდოვანია - „ერთობლივად“. კიდევ უფრო დაუსაბუთებელია და არასრულია ამ მუხლის ბ.ბ. და ბ.გ. ქვეპუნქტები.

2. 2010 წლის 06 ივლისს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებულ იქნა დებულება #3- სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის თაობაზე, რომლის მიზანია –

ბოლო მომხმარებლის (აბონენტის) არჩევანის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიღებისას შეინარჩუნოს იგივე სააბონენტო ნომერი ფიქსირებული ან მოძრავი ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფაზე ან მომსახურების მიწოდებაზე ავტორიზებული პირის სხვა ავტორიზებული პირით შეცვლისას.

ამ დებულების ნორმათა ანალიზიდან და დამდგარი შედეგებიდან ნათლად ჩანს, რამდენიმე გარემოება:

ა) კომისია ხელს უწყობს მონაცემთა ცენტრალური ბაზის ფორმირებას და ადგენს სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის უზრუნველსაყოფად სამართლებრივ, ტექნიკურ და ეკონომიკურ პირობებს (დებულების მე-4 მუხლის გ) ქვე.პ.)

ბ) სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის (ტრანსლირების) უზრუნველყოფა, დებულების შესაბამისად, ავტორიზებული პირის ვალდებულებაა (დებულ. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი). შესაბამისად ავტორიზებული პირი საკუთარი ხარჯითა და პასუხისმგებლობით ახორციელებს ყველა ტექნიკურ, თუ ფინანსურ ვალდებულებას ამ მომსახურების მიწოდებისთვის მათ შორის სატელეფონო ზარის განხორციელებისას იყენებს საკუთარ მონაცემთა საოპერაციო ბაზას (დებულ. მე-3 მუხლის მე-5 ქვეპუნქტი.)

გ) ნომრების პორტაბელურობის მონაცემთა ცენტრალური ბაზის ერთადერთი ფუნქციაა, იმ ინფორმაციის მიღება ავტორიზებული პირებისგან და შენახვა, რაც შეეხება, უკვე პორტირებული ნომრებისა და მათი დამისამართების პრეფიქსებს, მეტი არც ტექნიკური და არც ფინანსური ვალდებულების შესრულება აღნიშნულ ბაზას დებულებით არ ეკისრება (დებ. მუხლი მე-2 ბ) ქვეპუნქტი).

დ) დებულების მე-10 მუხლის თ) ქვეპუნქტის საფუძველზე მომსახურება ცენტრალურმა ბაზამ უნდა განახორციელოს ხარჯზე ორიენტირებული არადისკრიმინაციული ტარიფით, რომელიც ითვალისწინებს გაწეულ ინვესტიციაზე გონივრულ უკუგებას.

კომისიამ 2010 წლის 03 სექტემბერს მის მიერ ჩატარებული „კონკურსის“ შედეგად გამოავლინა გამარჯვებულად - „მედიპრო ჯეორჯია“, რომლის 100% საწესდებო კაპიტალი ეკუთვნის ლიტვაში რეგისტრირებულ ოფშორულ კომპანია - „CONTLAND“-ს (იხ. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან). რომელთანაც სავალდებულო წესით, სინქრონიზაციის თაობაზე, ყველა ავტორიზებული პირის მიერ (დებულების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის ა) ქვე.პ საფუძველზე) გაფორმებული იქნა ხელშეკრულებები, ისე რომ მასში აკრძალულ იქნა, ნებისმიერ სახის ფინანსური თუ ტექნიკური შესწორების შეტანა. და მომსახურების ტარიფი 0.38 ევრო ცენტის ოდენობით, თანახმად ხელშეკრულებისა, დაეკისრა ყველა ავტორიზებულ პირს მის სარგებლობაში არსებული დატვირთული და დაუტვირთავი სანომრე რესურსზე. (ხელშეკრულების . . .) რამაც საერთო ჯამში, ერთი წლის განმავლობაში, დაახლოებით 3 მილიონ ევროზე მეტი შეადგინა. აღნიშნული თანხა გადარიცხულ იქნა ოფშორული კომპანიის ანგარიშზე საქართველოს ბანკში. (ინტერნეტ პროვაიდერები რას ვიხდით?)

ჩვენ იმის დასადგენად, თუ რეალურად რა ხარჯთან შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული, ცენტრალური ბაზის ფუნქციონირება, აზრი ვკითხეთ ჩვენს ტექნიკურ სამსახურებს რომლებმაც განგვიმარტეს, რომ მსგავსი სირთულის (ანუ უკვე პორტირებული ნომრებისა და მათი დამისამართების პრეფიქსებს შესახებ ინფორმაციის შენახვის) პროგრამის შესაქმნელად ერთჯერადი გადასახადი არ შეიძლება აღემატებოდეს 30 000 ლარს, ხოლო მისი მომსახურების თვეში 8000 (რვა ათას) ლარს (იხ. ტექნიკური მოხსენება დანართი #). ამასთან საგულისხმოა, რომ ავტორიზებულ პირთა მიერ ხდება არა მხოლოდ უკვე პორტირებულ ნომრებზე მომსახურების გადახდა, არამედ იმ სანომრე რესურსზეც კი, რომელიც არათუ პორტირებული არ არის, არამედ საერთოდ არ არის დატვირთული. ანუ ტარიფი არის არახარჯეოორიენტირებული, ხოლო კომისიის ფუნქცია დადგინოს პორიტების ეკონომიური სამართლებრივი პირობები დარღვეულია.

გარდა ამისა, სკეკ-მა ადმინისტრატორის შესარჩევი კონკურის დროს, დააწესა დაუსაბუთებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნა - სულ ცოტა ორ ქვეყანაში ცენტრალური ბაზის დანერგვისა და ადმინისტრირების გამოცდილება, რითაც ხელოვნურად გამოირიცხა კონკურსისაგან ადგილობრივი კომპანიები. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სააბონენტო პორტაბელურობის ცენტრალური ბაზის შექმნა და მართვა დაკავშირებული არ არის ტექნიკური ან ფინანსური თვალსაზრისით რთული ამოცანის გადაწყვეტასთან. ადგილობრივი კომპანიები ტელეკომუნიკაციების სფეროში ახორციელებენ როგორც ტექნიკური, ისე ფინანსური თვალსაზრისით გაცილებით რთული პროგრამების დანერგვასა და მართვას. ასეთ ვითარებაში, გონივრულ ახსნას მოკლებულია სკეკ-ის მხრიდან მსგავსი საკვალიფიკაციო მოთხოვნის დადგენა.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ საკითხის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ბევრ ქვეყანაში ცენტრალური ბაზის ფუნქციას თავად კომისია ახორციელებს და ის რეგულირების გადასახადი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, სწორედ მსგავსი ხარჯების დასაფარავად არის მიმართული, და არა, როგორც ეს ჩვენს შემთხვევაშია, კომისიის წევრთა და მისი აპარატის მუშაკთა კოლოსალურ ხელფასებზე. შესაბამისად, ჩვენი აზრით სასურველია შევიდეს ცვლილება კანონში და აღნიშნული საკითხის რეგულირება დაემატოს კომისიის ფუნქციებს, ხოლო მას შემდეგ რაც რეგულირების საფასური გადაიხედება და შესაბამისობაში მოვა იმ ხარჯებთან, რაც დაკავშირებულია კომისიის ფუნქციების განხორციელებასთან, გათვალისწინებულ იქნება პორტირების ცენტრალური ბაზის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯიც.

აქვე მოვიყვანოთ მაგალითისთვის შვედეთში არსებულ მოდელს. სადაც ქვეყანაში მოქმედი სატელეკომუნიკაციო ფირმების მიერ ერთობლივად დაარსდა კერძო იურიდიული ფირმა, რომელიც ახორციელებს მისი დამფუძნებლების მომსახურებას ცენტრალური საინფორმაციო ბაზით.

ასევე, კანონით, სკეკ-ს გააჩნია ელექტრონული კომუნიკაციის სფეროს რეგულირების საჯარო ფუნქცია. პორტირების პროცესის უზრუნველყოფა მარეგულირებელი ფუნქციის ნაწილია. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ ცენტრალური ბაზის ადმინისტრატორტა და სკეკ-ს შორის იდება ხელშეკრულება, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც ადმინისტრატორს გადაეცემა მარეგულირებელი - საჯარო უფლებამოსილების გარკვეული ნაწილი. შესაბამისად, ამ ტიპის ფუნქციას სკეკ-ი უნდა აფინანსებდეს თავად, ავტორიზებულ პირთა მიერ გადახდილი რეგულირების საფასურიდან.

3. 2011 წლის 24 ნოემბერს მიღებულ იქნა კანონი საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „112“-ის შექმნის შესახებ, რომელის მე-8 მუხლით დაფინანსების წესის განსაზღვრა დაევალა საქართველოს მთავრობას. საქართველოს მთავრობამ 2011 წლის 27 დეკემბერს # 489-ე დადგენილებით დაადგინა, რომ საფასური (დღგ-ის ჩათვლით) შეადგენს: როგორც ფიქსირებული, ისე მობილური მომსახურების მიმღები აბონენტისთვის ყოველთვიურად, ფიზიკური პირისთვის - 0.20 ლარს; იურიდიული პირისთვის - 0.50 ლარს, მიუხედავად აბონენტად გახდომის რიცხვისა. ამ დებულების შემდეგი მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ ამ საფასურის დარიცხვა ხდება ყველა სატელეფონო ნომერზე და მიუხედავად იმისა, რამდენი სატელეფონო ნომერი აქვს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს სარგებლობაში, და ისარგებლა თუ არა საერთოდ აბონენტმა 112-ის მომსახურებით, რაც იმას ნიშნავს, რომ აბონენტი იხდის მომსახურების საფასურს იმ მომსახურებაზე, რაც მას არ მიუღია, არც მასთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება მოიცავს ამ საფასურის გადახდას და მასზე აბონენტის თანხმობას. ხოლო საფასურის ამოღების ვალდებულება, ყოველგვარი საზღაურის გარეშე, დაეკისრათ მომსახურების მიმწოდებელ პირებს. მაშინ, როდესაც მსგავსი მომსახურების განსახორციელებლად შპს „ახალი ქსელები“ მაგალითისთვის ბანკებს უხდის ამოღებული თანხის . . %. გარდა ამისა, მსგავსი რეგულირება არღვევს, როგორც აბონენტთან, ისე ავტორიზებულ პირთან მიმართებაში სამოქალაქო კოდექსით დადგენილ წესს და ზარალს აყენებს მათ. აღნიშნული ხასიათის მომსახურების ხელშეკრულებები თავისი შინაარსით წარმოადგენს - ნარდობას (მსგავსი შინაარსისაა ურთიერთჩართვის ხელშეკრულება, რომლის სამართლებრივი შეფასებისას სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ ნარდობის ხელშეკრულებას), რომლის მარეგულირებელი სამოქ. კოდექსის 630-ე მუხლი განსაზღვრავს რა შეთანხმებას

ანაზღაურებაზე ადგენს, რომ ანაზღაურება უსიტყვოდაც ითვლება შეთანხმებულად, თუ გარემოებების მიხედვით ნარდობა მხოლოდ ანაზღაურებითაა მოსალოდენელი. გარდა ამ სამართლებრივი შეფასებისა, მსგავსი სახის საბანკო ოპერაციის განხორციელებისას კერძო ბანკები იყენებენ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ინსტრუქციებს, რომელთა შესაბამისად მომზადებული საინკასაციო ხელშეკრულების ნიმუში განთავსებულია ბანკი ვებ. გვერდზე:

(მაგ. http://www.tbcbank.ge/data/file_db/EPeWmiA30N_agreement_ge_JP_12.06.2011_clean%20web.pdf) და არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს უფასო მომსახურების ხელშეკრულებას.

ჩვენს მიერ გაკეთებული ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ 2012 წელს სულ ახალი ქსელებიდან და „ახტელიდან“ გადახდილ იქნა 267, 692 ლარი საჯარო იურიდიული პირის 112-ს ანგარიშზე და 175 740 აბონენტიდან რეალურად ამ ნომერზე გამოძახება განხორციელა სულ 9 961 აბონენტმა ანუ აბონენტთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 5.67 %-მა. (ის. დანართი გაანგარიშების)

საგულისხმოა აგრეთვე, ის ფაქტი, რომ ჩვენს მიერ მოყვანილი სამივე სავალდებულო გადასახადი მიემართება არა ქვეყნის ბიუჯეტში, არამედ კონკრეტულ იურიდიულ პირთა საბანკო ანგარიშზე, რომელიც სახელმწიფო კონტროლის მიღება რჩება.

4. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქ. კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტი ადგენს: „ავტორიზებული პირი ვალდებულია:

ა) სრულად და მოთხოვნილ ვადაში მიაწოდოს კომისიას ამ კანონითა და კომისიის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაცია თავისი საქმიანობის შესახებ, მათ შორის, ფინანსურ-ეკონომიკური დოკუმენტაცია, მისი კონფიდენციალურობის მიუხედავად, აგრეთვე საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კომისიამ უნდა დაიცვას კონფიდენციალურობა მიწოდებული ინფორმაციისა, რომელიც ითვლება კომერციულ საიდუმლოებად ან პერსონალურ მონაცემებად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად. განზოგადებული ინფორმაცია მომსახურების ბაზრის თაობაზე, ასევე მონაცემები აბონენტთა რაოდენობის, ტრაფიკის, მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ არ შეიძლება იყოს კონფიდენციალური. ავტორიზებული პირის მიერ არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდება ითვლება ინფორმაციის მიუწოდებლობად; (25.05.2012 N 6328)

ამ მუხლის საფუძველზე, ყოველთვიურად კომისიას წარედგინება არაერთი კომერციული საიდუმლოების შემცველი დოკუმენტაცია, ხოლო რაც შეეხება კომისიის მხრიდან, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვას, რა თქმა უნდა იგი არ სრულდება და ხშირ შემთხვევაში, ჩვენს მიერ მიწოდებული კომერციული საიდუმლოება, სხვადასხვა სერვისის ყიდვის ფასის შესახებ, ჩვენთვისვე ცნობილი ხდება, ჩვენივე კონკურენტი ფირმებისგან. ამიტომ აუცილებელ და სასწრაფო ცვლილებას მოითხოვს კანონის აღნიშნული მუხლი. კერძოდ, უნდა წარედგინოს ზოგადი ხასიათის

ინფორმაცია და მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მისი ამ კანონით განსაზღვრული პირდაპირი ფუნქციების შესასრულებლად და არა იმგვარად, როგორც ეს დღეს ხდება და რამაც კომისია გადააქცია შსს-ს დანამატად.

5. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქ. კანონის 26-ე და 27-ე მუხლები პირდაპირ წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციასთან, რომელიც საკუთრების უფლებას აღიარებს, მოქალაქის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებად. კანონის მოცემული მუხლები სრულიად დაუსაბუთებლად ზღუდავენ პირის უფლებას თავისუფალად განკარგონ მათი კუთვნილი წილი საწარმოში. 26-ე მუხლის მე-4; მე-5; მე-6; მე-7 და მე-8 პუნქტები ყოველგვარი დასაბუთების და მტკიცებულების გარეშე, მხოლოდ კომისიის შეხედულებაზე დაყრდნობით, აძლევენ უფლებას კომისიას მიიღოს რაიმე ამკრძალავი ან შემზღუდველი გადაწყვეტილება, პირის კონსტიტუციური უფლების (საკუთრების თავისუფლად განკარგვის) განუხორციელებლობის მიზნით. მაშინ როდესაც, კომისიას ამავე კანონით, შეუძლია თავისუფლად შეისწავლოს ნებისმიერი ბაზარი და დაადგინოს მონოპოლისტი კომპანია, დაადგინოს დაადგინოს მათთვის კონკრეტული შეზღუდვები და არა ისე, რომ წინაწარ, ყოველგვარი კვლევისა და მტკიცებულების გარეშე, მხოლოდ ვარაუდის საფუძველზე მოხდინოს საკუთრების თავისუფლად განკარგვის უფლების შეზღუდვა.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ კანონის ეს მუხლები გაუქმებულ უნდა იქნას მათი არაკონსტიტუციურობის გამო.

6. „მაუწყებლობის შესახებ“ საქ. კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, „პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს შეუძლია აღძრას კომისიის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცედურა ინტერესთა კონფლიქტის ამ კანონით დადგენილი ნორმების დარღვევის შემთხვევაში; ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-1 პუნქტი ადგენს რა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს, (ვ) ქვეპუნქტი) განსაზღვრავს, რომ კომისიის წევრს ინტერესთა კონფლიქტი აქვს თუ, მას აქვს სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური ინტერესი იმ პირის მიმართ, რომლის საქმიანობაც განეკუთვნება კომისიის რეგულირების სფეროს.

მოაგახსენებთ, რომ 2005 წლის 21 ოქტომბრის №646/22 და 2007 წლის 17 აპრილის №191/9 გადაწყვეტილებების საფუძველზე, ეროვნულ კომისიას უნდა განესაზღვრა ს.ს. „გაერთიანებული ტელეკომისათვის“ (ამ კომპანიის სამართალმემკვიდრე გახლავთ ს.ს. „სილქ ნეტი“) საკანალიზაციო არხებთან დაშვების ზღვრული ტარიფის კონკრეტული ოდენობა, ვინაიდან ბაზრის ამ სეგმენტზე ს.ს. „გაერთიანებული ტელეკომი“ ცნობილ იყო მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორად. (დანართი №1; 2;) კომისიას ზღვრული ტარიფის დადგენის და ს.ს. „გაერთიანებული ტელეკომის“ მიერ კომისიის №191/9 გადაწყვეტილების შეუსრულებლობისთვის შესაბამისი სანქციების დაწესების მოთხოვნით, არაერთხელ მიმართეს განცხადებით შპს „ახალი ქსელების“, შპს „ფობტნეტის“ და შპს „კავკაზუს ონლაინის“ წარმომადგენლებმა, შემდგომ შპს „ახალი ქსელების“ და შპს „ფობტნეტი“-ს წარმომადგენლებმა (დანართი №3;4;5). რის საფუძველზეც,

კომისიამ 2008 წლის 30 მაისს მიიღო გადაწყვეტილება ზღვრული ტარიფის დადგენის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებების შესწავლისას დაეადგინეთ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. საჯარო მოსმენა მოცემულ ადმინისტრაციულ წარმოებაზე დანიშნული იყო 2008 წლის 27 ივნისს დღის 12 სთ-ზე, თუმცა 2008 წლის 24 ივნისს მოპასუხე მხარემ, კომისიას მიმართა თხოვნით, ზეპირი მოსმენის 2 კვირით გადადების თაობაზე, იმ მიზეზით, რომ ინფორმაცია, რომელიც წარდგენილ უნდა ყოფილიყო კომისიაში ტარიფის გაანგარიშების შესახებ, იყო რთული და დიდი მოცულობის. კომისიამ დააკმაყოფილა მოპასუხის თხოვნა და ზეპირი მოსმენა გადადო 2008 წლის 11 ივლისისათვის დღის 12 საათზე. გვინდა სასამართლოს განუმარტოთ, რომ აღნიშნული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება ს.ს. გაერთიანებულ ტელეკომ“-ს დაეკისრა, ჯერ კიდევ 2007 წლის 17 აპრილის №191/9 გადაწყვეტილებით, რომლის შეუსრულებლობის გამოც, მოსარჩელები განცხადებით ითხოვდნენ კომისიაში, მოპასუხის მიმართ კანონით დადგენილი სანქციების მიღებას, რაზეც კომისიას ადმინისტრაციული წარმოებაც კი, არ დაუწყია.

მოპასუხის მიერ წარსადგენი ინფორმაცია კომისიაში შეტანილ იქნა 2008 წლის 11 ივლისს სხდომის დაწყებამდე, რის გამოც, ზეპირი მოსმენა გადაიდო და დაინიშნა 2008 წლის 01 აგვისტოს დღის 12 საათზე; ამავე გადაწყვეტილებით, მოპასუხეს დაევადა დაზუსტებული მონაცემების 25 ივლისამდე წარდგენა. (იხ. 11 ივლისის №397/22 გადაწყვეტილება, დანართი №6).

მიუხედავად ამისა, მოპასუხის მიერ დაზუსტებული ინფორმაცია, როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიდან, 2008 წლის 15 აგვისტოს №53 სხდომის ოქმიდან და 2008 წლის 6 აგვისტოს (აღნიშნული აქტი გადაწყვეტილებას თან ერთვის, მაგრამ თარიღი შეცვლილი აქვს 1 აგვისტოთი, რის შესახებაც ქვევით მოგახსენებთ) დაკენა №1 –დან ირკვევა, მოპასუხის მიერ წარდგენილ იქნა 2008 წლის 1 აგვისტოს კომისიაში (დანართი №7;8;9)

საინტერესოა, რომ ამავე დღეს 2008 წლის 1 აგვისტოს დღის 12 საათზე კომისიაში ტარდება ზეპირი მოსმენა და როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილიდანვე ირკვევა – „კომისიის აპარატის სტარტეგიული განვითარებისა და კონკურენციის დეპარტამენტის მიერ 2008 წლის 01 აგვისტოს სხდომაზე წარმოდგენილ იქნა დასკვნა ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების ბაზრის სეგმენტზე ს.ს. „გაერთიანებული ტელეკომის“ საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებით საქმიანობაზე დანახარჯების განაწილებისა და ტარიფების გაანგარიშების შესახებ“. ეს ფაქტი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც აღნიშნული დასკვნა ამჟამად გამოქვეყნებულია კომისიის ვებ-გვერდზე, სადაც დასკვნის თარიღად წერია – 2008 წლის 6 აგვისტო, ხოლო სათაურზე 2008 წლის 29 აგვისტო (დანართი №). გადაწყვეტილებაში და მასზე არსებულ დანართზე კი, დასკვნა დათარიღებულია 1 აგვისტოთი. მართლაც დაუჯერებელია, კომისიას ასეთ მინშენელოვან საკითხზე, ასეთი ფუნდამენტური დასკვნა მოემზადებინა იმავე დღის

12 საათამდე, როდესაც კომისიაში წარდგენილ იქნა დაზუსტებული ინფორმაცია, რაც თავის მხრივ წარმოადგენს 1. ტარიფების გაანგარიშებას არხის და წყვილების გაქირავების მიზნით; 2. აუდიტორულ დასკვნას; 3. ნორმატიული ხარჯთაღრიხვო ღირებულების თაობაზე წერილს; ეს ჩამონათვალი თავად დასკვნაშია მოყვანილი.

მსგავსი, აშკარად ყოველგვარ სიმაღლეს მოკლებული დასაბუთების გამო, ჩვენს მიერ გამოთხოვნილ იქნა 2008 წლის 1 აგვისტოს სხდომის ოქმი, სადაც დასკვნა საერთოდ არ არის წაკითხული, მეტიც ოქმის მე-3 გვერდზე არის ბ-ნ გ.ბუთაიას აღნიშვნა, რომ დეპარტამენტს ორი დღე დასჭირდება შენიშვნების შესასწავლად, რის შემდეგაც შემუშავდება საბოლოო დასკვნა და დაეგზავნება დაინტერესებულ მხარეებს, კომისია კი, გადაწყვეტილებას 10 დღის ვადაში მიიღებს. ამავე ოქმში, გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში წერია, რომ 2008 წლის 15 აგვისტოს სხდომაზე წარმოდგენილ იქნება გადაწყვეტილების პროექტი. მიუხედავად ამ ჩანაწერისა, დაინტერესებულ მხარეს საერთოდ არანაირი დასკვნა, ან გადაწყვეტილების პროექტი, რისი მიღების და გაცნობის უფლებაც მას კანონით მინიჭებული ქონდა არ მუდია.

შემდგომ, როგორც მასალებიდან ირკვევა, კომისიამ ჩატარებულად ჩათვალა რა ზეპირი მოსმენა 2008 წლის 1 აგვისტოს, სადაც თითქოს მოსმენილ იქნა დასკვნა №1, 2008 წლის 15 აგვისტოს, მაშინ როდესაც ქვეყანაში გამოცდაებული იყო უკვე საომარი მდგომარეობა, და სტრატეგიული დანიშნულების კავშირგაბმულობი ობიექტები, საჯარო ადმინისტრაციული ორგანოები გადასული იყვნენ საგანგებო მუშაობის რეჟიმში, კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება №465/9 საკომუნიკაციო კანალიზაციაში ხარჯზე ორიენტირებული ზღვრული ტარიფის დადგენის თაობაზე. აქვე სასამართლოს წარმოდგენთ, იმ დროისათვის კომისიის ვებ-გვერდიდან ამობეჭდილ 2008 წლის 15 აგვისტოს №53 სხდომის დღის წესრიგს, ვინაიდან 2008 წლის 1 აგვისტოს სხდომაზე გაკეთებული განცხადებებიდან ვიცოდით, რომ უნდა ყოფილიყო აკეთებული დასკვნა და გადაწყვეტილების პროექტი, ვცდილობდით ყურადღება მიგვექცია კომისიის მუშაობისთვის, ვინაიდან, როგორც მხარეს ადმინისტრაციული წარმოებისა არ მოგვდიოდა არანაირი შეტყობინებები, თუმცა №53-ე დღის წესრიგში საერთოდ არც ერთი საკითხად არ იყო ჩასმული ამ საკითხის განხილვა, გარკვეული საკითხები კი, საერთოდ მოხსნილი იყო დღის წესრიგიდან საომარი მდგომარეობის გამო, მეტიც მე-7 საკითხად ამ დღის წესრიგში, მოყვანილი იყო ამხანაგობა „ვაკე პალასისათვის სიხშირის მინიჭება“ (დანართი №), ხოლო 2008 წლის 7 ოქტომბერს ჩვენს მიერ გამოთხოვნილ 2008 წლის 15 აგვისტოს №53 სხდომის ოქმში მე-7 საკითხად ვკითხულობთ – საკომუნიკაციო კანალიზაციაში ხარჯზე ორიენტირებული ზღვრული ტარიფის დადგენის თაობაზე მომხსენებლის ბ-ნ უჩა სეთურის პოზიციას.

აქვე გვინდა დავაფიქსიროთ ის ფაქტიც, რომ ყველა წარმოდგენილი მტკიცებულება, ჩვენს მიერ მოპოვებულ იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 2008 წლის 30 სექტემბერს ჩაგვბარდა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ვინაიდან გადაწყვეტილების ჩაბარების დღეს გადამოწმებულ იქნა კომისიის ვებ-გვერდზე ამ გადაწყვეტილების და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის არსებობა

არარსებობა და ვერ იქნა ნახული ვერც ერთი საჭირო მტკიცებულება გამოქვეყნებული ვებ-გვერდზე, აღარაფერს ვამბობთ იმ ფაქტზე, რომ როგორც წარმოების მონაწილეებს – განმცხადებლებს საერთოდ არ ჩაგვბარებია, გარდა გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა, არანარი მასალები და შეტყობინებები.

ეს ფაქტები იმდენად ერთმანეთის გამომრიცხველია და იმდენად, ნათლად მეტყველებენ კომისიის მხრიდან კანონის არაერთ და მნიშვნელოვან დარღვევაზე, რის შედეგადაც, კომისიამ დაადგინა მომსახურების ზედა ზღვრული ტარიფები მომსახურების ბაზრის ისეთ სტარტეგიულ სეგმენტზე, როგორ სატელეფონო საკანალიზაციო არხებია, და რომელზეც, აგერ უკვე 2005 წლიდან მიმდინარეობს მუაშობა და თავად კანონი ამ საკითხის განხილვისას ადგენს საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისთვის დადგენილი ნორმების გამოყენებას ((კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილება №1-ის მუხლი 7), რომ მათი ყოველმხრივი სამართლებრივი შეფასება ვფიქრობთ საკმაოდ რთული იქნება.

ამდენად, ჩვენი სამართლებრივი შეფასება შემოიფარგლება, მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნორმების დარღვევით, და აღიძრა სარჩელი აქტის ბათილად ცნობის შესახებ, (აქვე მოგახსენებთ, რომ სასამართლოს მიერ უარი გვეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე) კერძოდ:

ა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, კომისიამ 2008 წლის 30 მაისს მიიღო გადაწყვეტილება ზღვრული ტარიფის დადგენის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, შპს „ახალი ქსელებისა“ და შპს „ახტელის“ არაერთი წერილობითი მოთხოვნის შედეგად, თუმცა ეროვნულ კომისიას 2005 წლის 21 ოქტომბრის №646/22 და 2007 წლის 17 აპრილის №191/9 გადაწყვეტილებების საფუძველზე, ასევე ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონის 11-ე; 35-ე მუხლების თანახმად, ეროვნული კომისიას გააჩნდა ვალდებულება გამოეცა – ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, რაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად „დაინტერესებული პირის განცხადებასთან ერთად, წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველს. თუმცა, წარმოება დაწყებულ იქნა შპს „ახალი ქსელები“ და შპს „ფობტნეტი“-ს განცხადებების საფუძველზე, რის გამოც ისინი, წარმოადგენდნენ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 75-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე მხარეებს.

ზოგადი ადმ. კოდექსის 120-ე მუხლით დადგენილია, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას უნდა გაიმართოს ზეპირი მოსმენა, რომლის დროსაც გამოიყენება ამ კოდექსის 110-ე-112-ე მუხლები. 110-ე მუხლის თანახმად ზეპირი მოსმენის შესახებ, დაინტერესებულ მხარეს უნდა ეცნობოს 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნეს მასში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო ამავე კოდექსის 34-ე მუხლით კოლეგიური საჯარო დაწესებულება (ეროვნული კომისია სწორედ კოლეგიური საჯარო დაწესებულებაა) ვალდებულია ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, 112-ე მუხლით კი, დადგენილია ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმის რეკვიზიტები. ეს წესი კიდევ ერთხელ დადგენილია კომისიის

დადგენილება №1-ის 12-ე მუხლის მე-5;7;11 პუნქტებით. კომისიას არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი სხდომის ჩატარებისა და გადადების შესახებ ოფიციალურად არ უცნობებია მხარისთვის. თუ იმ ჩანაწერებიდან ვისმჯელებთ რაც საქმეში არსებულ მტკიცებულებებშია, მაშინ, ზეპირი მოსმენა ჩატარებულა 2008 წლის 1 აგვისტოს დღის 12 სთ-ზე, სადაც თითქოს წაკითხულ იქნა დასკვნა №1. რაც სიმართელს, ასევე არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, (დანართი №) არ შეესაბამება, რადგან დასკვნა ეყრდნობა იმ მასალებს, რაც კომისიაში ს.ს. „გაერთიანებული ტელეკომის“ მიერ წარდგენილ იყო იმავე დღის, ყველაზე კარგ შემთხვევაში 10 საათზე (კანცელარია 10-საათიდან იწყებს მუშაობს), ასევე დასკვნის თარიღი სახედასახეა, ერთ შემთხვევაში იგი 2008 წლის 1 აგვისტოთი თარიღდება, მეორე შემთხვევაში 6 აგვისტოთი, ხოლო მესამე შემთხვევაში 29 აგვისტოთი. ამდენად, ჩვენ როგორც მხარე ვიმყოფებოდით სრულიად სხვა შინაარსის სხდომაზე 2008 წლის 1 აგვისტოს, ამდენად, სრულიად გაუგებარი გახდა და მოულოდნელი კომისიის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი. ამდენად, ჩვენს მიერ გამოთხოვილი 2008 წლის 1 აგვისტოს სხდომის ოქმითაც დასტურდება, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული დასაბუთება გასაჩივრებული გადაწყვეტილებისა.

- ბ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ გვექონია შესაძლებლობა გავცნობოდით ს.ს. „გაერთიანებული ტელეკომი“-ს მიერ 2008 წლის 1 აგვისტოს, წარმოდგენილ მასალებს, და ამ მასალებზე დაყრდნობით გაკეთებულ დასკვნა №1-ს, რომელთა შესახებაც წარვადგენდით ჩვენს მოსაზრებებს, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 188-ე მუხლისა. ჩვენს მიერ, მხოლოდ ერთხელ მოხდა ჩვენი მოსაზრების წარდგენა კომისიისთვის, (დანართი №) როდესაც 2008 წლის 11 ივლისს კომისიის სხდომაზე შევიტყვევით, რომ გარკვეული მასალები, იგივე 2008 წლის 11 ივლისს, წარუდგენია ს.ს. გაერთიანებულ ტელეკომს“ და ჩვენი მოთხოვნის შედგენად გადმოგვეცა ისინი.

შესაბამისად, დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 117-ე მუხლი, ვინაიდან საჯარო გაცნობისათვის არ ყოფილა წარდგენილი არც ერთი დასკვნა, მოსაზრება, იმ მასალების ნუსხა, რომელიც ამ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით იყო წარდგენილი კომისიაში. თუმცა, კანონის ამ მუხლის დაცვა კომისიისთვის ფიზიკურადაც შეუძლებელი იქნებოდა, თუ ს.ს. „გაერთიანებული ტელეკომი“ მუდმივად არღვევდა, საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარდგენის შესახებ, მისთვის დადგენილ დროს, რაც იყო საფუძველები საჯარო მოსმენის სხდომის არაერთხელ გადადებისა და არც ერთხელ არ გამხდარა კომისიის მხრიდან (მით უფრო რომ შპს „ახალი ქსელებს“ და შპს „ფობტნეტს“ თავის განცხადებაში ეს მოთხოვნაც ქონდა დაყენებული) საჭირო რეაგირების, სანქცირების აშკარა მიზეზი.

- გ. ეროვნულმა კომისიამ დაარღვია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 119-ე მუხლიც, რადგან იგი ვალდებული იყო მოემზადებინა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის პროექტი და გამოექვეყნებინა იგი რათა, იგივე კოდექსის, 118-ე მუხლის საფუძველზე დაინტერესებულ მხარეს მისცემოდა შესაძლებლობა გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში წარედგინა მასთან დაკავშირებით

საკუთარი აზრი. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ 2008 წლის 15 აგვისტოს თითქოს უნდა წარმოდგენილი ყოფილიყო გადაწყვეტილების პროექტი. ეროვნულმა კომისიამ არამც თუ პროექტი გამოაქვეყნა, არამედ თავად აქტი მიიღო იმგვარად, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დარღვევებთან ერთად გაუგებარი დარჩა, სინამდვილეში როდის ჩაატარა ზეპირი მოსმენა 2008 წლის 1 აგვისტოს თუ, აქტის გამოცემის დღეს 2008 წლის 15 აგვისტოს №53-ე სხდომაზე. რომლის დღის წესრიგში მართალია, საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული ამ საკითხის განხილვა და დღის წესრიგის მე-7 საკითხი აბსოლუტურად სხვა თემას ეხებოდა, მაგრამ ფაქტია იმსჯელა თემაზე და კიდევ ერთხელ განიხილა თავისივე დასკვნა №1. ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული და კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი შესაბამისი ნორმები ცალსახად და ხაზგასმით აღგენენ „კომისია ზეპირ მოსმენას ატარებს ზეპირი მოსმენის სხდომაზე და ადმინისტრაციულ აქტს გამოსცემს ზეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის განმავლობაში“ ანუ ზეპირი მოსმენის შემდგომ კომისია კვალე აღარ განიხილავს ამ საკითხს, არამედ პირდაპირ გამოსცემს შესაბამის აქტს 10 დღის განმავლობაში, ამ შემთხვევაში კი, გამოდის კომისიამ ზეპირი მოსმენა კიდევ ჩაატარა 2008 წლის 15 აგვისტოს და იმავე დღეს გამოსცა აქტი. ეს კიდევ ერთ დარღვევას წარმოადგენს ზ.ა.კ-ის 120-ე და დადგენილება №1-ის 12-ე მუხლის მეექვსე პუნქტის.

დ. ზ.ადმ.კ. -ის 53-ე 96-ე მუხლები, რადგან კომისიის მიერ, ზეპირ მოსმენაზე არ იქნა ყოველმხრივ და სრულად გამოკვლეული საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები; არ მიეცათ დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა გასცნობოდნენ საქმის მასალებს სრულად, მონაწილეობა მიეღოთ და საკუთარი აზრი გამოეთქვათ საქმესთან დაკავშირებით გამართულ ზეპირ მოსმენებში.

როგორც საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან ნათლად ჩანს, ადგილი ჰქონდა ყალბი დოკუმენტის შექმნას, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები: სოფიო ბრიტანჩუკი; გ. ფრუიძე; ზ. ნონიკაშვილი; კ.კეიტაშვილი. თუმცა, კომისიის №475/9 გადაწყვეტილებას ხელს არ აწერს კომისიის იმ დროისათვის მოქმედი თავჯდომარე –გიორგი არველაძე და აღნიშნულ სამართლებრივი აქტის მიღებას ხელმძღვანელობს თავჯდომარის პირველი მოადგილე – სოფიო ბრიტანჩუკი. აღნიშნული №476/9 გადაწყვეტილებით ს.ს. „გაერთიანებულ ტელეკომს“ დღეს კი, ს.ს. „სილქ ნეტს“ დადგენილი აქვს არაღებულად მაღალი, ყოველგვარ გაანგარიშებასა და ხარჯზოვრიენტულობას მოკლებული, სატელეფონო საკანალიზაციო არხებით მომსახურების ფასი.

გარდა ამ ფაქტისა, ქ-ნ სოფიოს ინტერესი, კომპანია ს.ს. „სილქ ნეტს“-სათვის სარგებელის მოტანისა, ნათლად გამოხატულია კომისიის 548/22 გადაწყვეტილებაში. კერძოდ, სკეკ-ის აპარატის სამართლებრივი, ფინანსური და სტრატეგიული განვითარების და კონკურენციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, სპეციალური მუშა ჯგუფის წევრების - მხარეთა წარმომადგენლების ხელმოწერის, თანხმობის გარეშე შედგენილ იქნა დასკვნა, რომელიც განსაზღვრავდა სამ ავტორიზებულ პირს – ს.ს. „გაერთიანებულ ტელეკომს“ შპს „ახალ ქსელებსა“ და შპს „ახტელს“ შორის სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობებიდან (რომელთაგან, მხოლოდ ერთი - ურთიერჩართვის ფინანსური საკითხების, ისიც მხოლოდ კომისიისთვის მინიჭებული ადმინისტრაციული უფლებამოსილების ფარგლებში, რეგულირება შედის კომისიის უფლებამოსილებაში) გამომდინარე, არსებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

სკეკ-ის 2008 წლის 24 სექტემბრის №548/22 გადაწყვეტილებით ცნობად იქნა მიღებული ზემოაღნიშნული ერთობლივი დასკვნა. კომისია გადაწყვეტილებაში თავადვე უთითებს: „...მუშა ჯგუფის წევრებმა, შეძლეს ჩამოეყალიბებინათ საკუთარი პოზიცია მხარეთა მიერ გაწეული მომსახურების მიახლოებითი ოდენობის შესახებ...“. კომისიამ გადაწყვეტილებით რეკომენდაცია მისცა მხარეებს, მათ შორის არსებული სადავო საკითხების მორიგებით დასრულების და ურთიერთშეთანხმებით მოწესრიგების მიზნით, წარმოდგენილი ერთობლივი დასკვნის გათვალისწინებით მოახდინონ ერთმანეთს შორის არსებული სადავო საკითხების დარეგულირება.

„დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია არის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო. ამავე კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო არის „სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების მიზნით შექმნილი, სპეციალური უფლებამოსიანობის მქონე საჯარო სამართლის იურიდიული პირი...“.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კომისიის გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც მიიღება კანონმდებლობით კომისიისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მართალია, ერთი შეხედვით, ფორმალურად სკეკ-ის 2008 წლის 24 სექტემბრის №548/22 გადაწყვეტილება შეიცავს ზემოაღნიშნული ნორმებით დადგენილი, ადმინისტრაციული აქტის ყველა ელემენტს, თუმცა, ხაზი უნდა გაესვას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესს: „თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას“. აღნიშნული ნორმა სარჩელის დასაშვებობის სავალდებულო პირობად ადგენს, აქტის გამოცემით პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანის არსებობას. მოცემულ შემთხვევაში კი, სახეზე არ იყო ეს წინაპირობა, ვინაიდან აქტს ჰქონდა სარეკომენდაციო და არა სავალდებულო ხასიათი, ანუ აქტით არ დაგენილა რაიმე სახის ვალდებულება ან დაინტერესებული პირი (პირები) არ აღჭურვილა რაიმე უფლებით. შესაბამისად დაუშვებელი იყო სარჩელის აღძვრა.

გარდა ამისა, აქტი უკანონოა გამოცემის უფლებამოსილების თვალსაზრისითაც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის №1 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კომისიის გადაწყვეტილება არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც მიიღება კანონმდებლობით კომისიისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ანუ კომისიას ნორმატიულად უნდა ჰქონდეს მინიჭებული აქტის გამოცემის უფლებამოსილება.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი ამომწურავად განსაზღვრავს კომისიის კომპეტენციას, კერძოდ მე-11 მუხლით დადგენილია კომისიის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები. მათვე კანონის 36-ე მუხლის თანახმად, კომისია ავტორიზებულ პირებს შორის წარმოშობილ დავებს წყვეტს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად სსიპ-ს აქვს სპეციალური უფლებაუნარიანობა და მას შეუძლია განახორციელოს მხოლოდ კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული საქმიანობა.

ამდენად არც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას და შესაბამისად, არც მისი აპარატის თანამშრომლებს არ გააჩნდათ უფლებამოსილება დაედგინათ მხარეთა შორის არსებული ფინანსური ვალდებულებანი. კომისიისათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე მხარეებს შორის არსებული ქონებრივი დავების გადაწყვეტა არც ყოფილა და ვერც იქნებოდა მისი მიზანი, კომისია მოცემულ შემთხვევაში მიზნად ისახავდა მედიატორის როლი ეთამაშა მხარეებს შორის არსებულ დავაში. შესაბამისად კომისიის მიერ შექმნილი მუშა ჯგუფის ფუნქცია განისაზღვრა მხარეთა პოზიციების შეჯერებასა და საბოლოო შეთანხმებაში. დასკვნაში მოყვანილი არგუმენტები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ყოფილიყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი უტყუარი მტკიცებულება, თუ დასკვნაში მოცემულ მოსაზრებებსა თუ გაანგარიშებებს დაეთანხმებოდნენ მხარეები. ყველა სხვა შემთხვევაში, აღნიშნული დასკვნა მხოლოდ და მხოლოდ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პირად მოსაზრებას წარმოადგენს და არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დავალიანების არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებად. ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზეც, რომ კომისიამ აღნიშნული დასკვნა მხოლოდ და მხოლოდ ცნობის სახით მიიღო, ვინაიდან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დავალიანების არსებობის ფაქტი კომისიის მიერ მსჯელობის საგანი ვერ გახდებოდა. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ კომისიის ყველა წევრს 2008 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებისათვის მხარი არ დაუჭერია. ას მხარი დაუჭირა მხოლოდ, სოფო ბირტანჩუკმა, რომელიც ამ სხდომაზეც თვაჯდომარის მოვალეობას ასრულებდა, რადგან სხდომა კომისიის თავჯდომარე არ ესწრებოდა და კომისიის ორმა წევრმა კვიტიაშვილმა და ნონიკაშვილმა, ხოლო კომისიის მესამე წევრმა გ. ფრუიძემ წარმოადგინა განსხვავებული აზრი კომისიის 2008 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, კერძოდ მან განმარტა, რომ კომისიის ერთობლივ დასკვნას არ აწერენ ხელს და არ ეთანხმებიან არცერთი მოდავე მხარე. ვინაიდან კომისია უდავოდ აღიარებს იმ გარემოებას, რომ მხარეთა თანხმობის არარსებობის შემთხვევაში კომისიას არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნია დაედგინა თითოეული მხარის ფინანსური ვალდებულებანი (ანუ განეხილა მხარეთა შორის არსებული ქონებრივი დავა) კომისიის წევრმა გ. ფრუიძემ აღნიშნა, რომ ყოველგვარი აზრი ეკარგებოდა კომისიის მიერ მხოლოდ მისივე აპარატის მოხელეების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის ცნობად მიღებას, ვინაიდან აშკარა იყო, რომ ვერ მოხერხდა მხარეთა შეთანხმება.

კომისიის აღნიშნული „გადაწყვეტილება“ საფუძველად დაედო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც შპს „ახალ ქსელებს“ და შპს „ახტელს ს.ს. „სილქ ნეტის“ სასარგებლოდ დაეკისრა 3 . . . ლარის გადახდა.

კომისიის წევრის – ქ-ნ სოფიო ბრიტანჩუკის მიღებული სხვა გადაწყვეტილებები ჩვენთვის უცნობია, თუმცა ჩვენს მიერ მოყვანილი ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებიდანაც ნათლად ჩანს მისი არაპირდაპირი (გამოძიების შემთხვევაში კი ალბათ პირდაპირი კავშირიც კი, კომისიის რეგულირების სფეროს განკუთვნილი ავტორიზებული პირის მიმართ. ღაც ვფიქრობთ საკმარისია საფუძელია მისი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ საკითხის დაყენებისა.

7. კომისიის წევრების: ქ-ნ ს. ბრიტანჩუკის, ბატონების - ვ. კვიტაიშვილის და ს. სიხარულძის ინტერესთა კომპლიქტის დამადასტურებელია კიდევ ერთ კომისიის გადაწყვეტილება - #23/16, სადაც ასევე ნათლად ჩანს კომისიის წევრთა დაინტერესება ს.ს. „სილქ ნეტისათვის“ სარგებელის მოტანისა. კერძოდ, აღნიშნული გადაწყვეტილებით არ იქნა დაკმაყოფილებული შპს „ახალი ქსელების“ მოთხოვნა, იმსათან დაკავშირებით, რომ კომისიას დაევალებულიყვნა ს.ს. „სილქ ნეტი“ (იმ დროისათვის ს.ს. „გაერთიანებული ტელეკომი“) , რათა მას შეესრულებინა კომისიის 122/16 გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაში დატოვა უზენაესმა სასამართლომ და ამ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო მოეხდინა ს.ს. „სილქ ნეტის“ კანონით დადგენილი წესით სანქცირება.

კომისიის #23/16 გადაწყვეტილება შპს „ახალი ქსელების“ მიერ გასაჩივრებულ იქნა სასამართლოში. და კომისიის წევრთა მხრიდან კანონის დარღვევის სიმძიმის თვალსაჩინოების მიზნით წარმოდგიდგენთ, როგორც თავად უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას შპს „ახალი ქსელების“ სარჩელთან დაკავშირებით, ისე ამონარიდს ამ გადაწყვეტილებიდან, რომლითაც დაკმაყოფილებულ იქნა ჩვენი სარჩელი და ბათილად იქნა ცნობილი კომისიის #23/16 გადაწყვეტილება.

საქ. უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება – „... კომისიამ სადავო გადაწყვეტილებით არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შპს „ახალი ქსელების“ მოთხოვნა გამომდინარეობდა ამავე კომისიის 2008 წლის #122/16 გადაწყვეტილებიდან (რომელშიც პირდაპირაა მითითებული, რომ სახეზე არ იყო ქონებრივი დავა) და შპს „ახალი ქსელები“ ფაქტობრივად ითხოვდა აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებას. შესაბამისად, კომისიის სადავო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ამავე კომისიის 2008 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებას და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას.“ ანუ აქ იგულისხმება უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის - 2009 წლის 02 ნოემრის გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა ს.ს. „გაერთიანებულ ტელეკომს“ კომისიის 122/16 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე.

როგორც ხედავთ, კომისიის ზემოთჩამოთვლილი წევრები იმდენად შეუფარავად ემსახურებოდნენ მათ რეგულირებას დაქვემდებარებულ ავტორიზებულ პირთა ინტერესებს, რომ ასისათვის მზად იყვნენ არ აღსესრულებინათ არამხოლოდ თავისივე გადაწყვეტილებები, არამედ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებაც კი.

8. კომისიის #657/9 გადაწყვეტილებითაც, კომისიის მიერ მოხდა რა კერძო იტერესების გათვალისწინება დადგენილ იქნა აბსოლიტურად არაკონკურენტ უნარიანი ტარიფი, კონკრეტული ირიდიული პირის სასარგებლოდ. წარმოდგინეთ გადაწყვეტილების იმ ნაწილს, სადაც ნათლად ჩანს რა საფუძვლით დადგინდა განსხვავებული ტარიფი შპს „მობიტელს“ კომისიამ:

“კომისიას მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს შპს „მაგთიკომს“ და შპს „ჯეოსელს“ უკვე განსაზღვრული აქვთ სპეციფიკური ვალდებულებები 2010 წლის 21 მაისის №240/9 გადაწყვეტილებით. შესაბამისად, შპს „მობიტელი“ ცნობილ უნდა იქნას მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირად და უნდა განესაზღვროს სპეციფიკური ვალდებულებები, რისთვისაც დამატებები უნდა იქნას შეტანილი ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში.

შპს „მობიტელს“ უნდა დაეკისროს ”ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 31ე-35-ე მუხლებით გათვალისწინებული სპეციფიკური ვალდებულებები:

- ა) ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ვალდებულება;
- ბ) დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება;
- გ) ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების ვალდებულება;
- დ) დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება;
- ე) სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულება.

კომისია აღნიშნავს, რომ შპს „მობიტელს“ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის, დისკრიმინაციის აკრძალვის, ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების, დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის და სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის სპეციფიკური ვალდებულებების შესრულება უნდა დაეკისროს ისეთივე პირობებით, როგორი პირობებითაც აქვს დაკისრებული შპს „მაგთიკომს“ და შპს „ჯეოსელს“ კომისიის 2010 წლის 21 მაისის №240/9 გადაწყვეტილების შესაბამისად.

რაც შეეხება სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულების ფარგლებში ზღვრული ტარიფის ოდენობის დადგენის საკითხს, კომისია აღნიშნავს შემდეგ გარემოებებს:

”მომრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყების/დასრულების) საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ” კომისიის 2010 წლის 21 მაისის №240/9 გადაწყვეტილების შესაბამისად, საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე

მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს შპს "ჯეოსელს" და შპს "მაგთიკომს" დაუდგინდათ სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების მომსახურების სახეებზე ზედა ზღვრული ტარიფი - 8 თეთრის ოდენობით წუთზე, დღგ-ს ჩათვლით. 2011 წლის 25 იანვრის №26/9 გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა 2010 წლის 21 მაისის №240/9 გადაწყვეტილებაში და შპს "ჯეოსელის" და შპს "მაგთიკომის" სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების მომსახურების სახეებზე ზედა ზღვრული ტარიფი აქციზის და დღგ-ს ჩათვლით განისაზღვრა 8 თეთრის ოდენობით წუთზე.

2010 წლის 21 მაისის №240/9 კომისიის გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანისას, კომისიის მიერ შესწავლილი იქნა შპს "მაგთიკომის" და შპს "ჯეოსელის" მიერ წარმოდგენილი დანახარჯების განაწილების მოდელი და მისი შესაბამისობა კომისიის 2006 წლის 20 აპრილის N 5 დადგენილებით დამტკიცებულ „ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესებთან“. შპს "მაგთიკომის" და შპს "ჯეოსელის" მიერ წარმოდგენილ მოდელში, ასახული იყო დანახარჯები 2010 წლის 9 თვის ფაქტიური მონაცემების მიხედვით. ვინაიდან, აღნიშნული კომპანიებისათვის დადგენილია ზედა ზღვრული ტარიფები გასული წლის მონაცემების გათვალისწინებით, კომისია ითვალისწინებს აღნიშნულ გარემოებას და ამ ეტაპზე მიზანშეწონილად მიაჩნია დატოვოს უცვლელად შპს "მაგთიკომის" და შპს "ჯეოსელისათვის" დადგენილი, ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების საბითუმო ბაზრის სეგმენტებზე სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების მომსახურების სახეებზე ზედა ზღვრული ტარიფი - 8 თეთრის ოდენობით წუთზე, აქციზის და დღგ-ს ჩათვლით.

რაც შეეხება შპს „მობიტელს“, კომისია აღნიშნავს, რომ სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულების ფარგლებში უნდა განისაზღვროს ზღვრული ტარიფი ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარის წამოწყება/დასრულების) მომსახურებისათვის. კომისიის 2011 წლის 10 ოქტომბრის №522/23 გადაწყვეტილების შესაბამისად შპს „მობიტელის“ 2011 წლის 10 ოქტომბრის № 653/11 და 11 ნოემბრის N678/11 წერილებით წარმოდგენილ იქნა ურთიერთჩართვის მომსახურებაზე დანახარჯების განაწილების მოდელი, რომელიც მოიცავს 2010 წელს სრულად და 2011 წლის 6 თვის პერიოდს.

კომპანიის მიერ შერჩეული მოდელის თანახმად, ხმოვან სატელეფონო მომსახურებასა (ტრაფიკთან) და მონაცემთა გადაცემის მომსახურებებთან (ინტერნეტი, SMS, MMS) დაკავშირებული დანახარჯების განაწილების მიზნით, პირველ ეტაპზე, განისაზღვრა ამ საქმიანობის სახეებიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილი კომპანიის საერთო შემოსავალში.

მეორე ეტაპზე ხმოვანი მომსახურებისა და სხვა დანარჩენი მომსახურებების (ინტერნეტი, SMS, MMS და ა.შ.) დანახარჯთა გამიჯვნის მიზნით განსაზღვრულ იქნა ხმოვანი სატელეფონო მომსახურების შემოსავლების ხვედრითი წილის პროპორციულად საოპერაციო ხარჯების შესაბამისი ხვედრითი წილი.

მესამე ეტაპზე, ურთიერთჩართვის ტარიფის გაანგარიშების მოდელში ხმოვანი (საცალო და ურთიერთჩართვის) მომსახურების სახეზე მიკუთვნებული დანახარჯები გადანაწილებულ იქნა კომპანიის მთლიან ტრაფიკში საცალო და ურთიერთჩართვის (საბითუმო) ტრაფიკების ხვედრითი წილების პროპორციულად.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ვინაიდან მობილური ქსელის შიდა ზარი, განხორციელებისას საჭიროებს კომპუტირებას საკომუტაციო სადგურში და რადიო დაშვების ქსელის ელემენტებს მოიხმარს როგორც ზარის წამოწყები აბონენტიდან საკომუტაციო სადგურამდე, ასევე საკომუტაციო სადგურიდან გამოძახებულ აბონენტთან სიგნალის მიწოდებისას, განხორციელებული შიდა ტრაფიკი დანახარჯების განაწილების მოდელში აისახება როგორც ზარის წამოწყების, ისე ზარის დასრულების ტრაფიკის ოდენობაში.

დანახარჯების განაწილების გამჭირვალობის მიზნით, მოდელში ხარჯები განაწილებულია მოძრავ საკომუნიკაციო ქსელში ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვების (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულება) და მოძრავი სატელეფონო (საცალო) მომსახურების სახეებზე.

დანახარჯთა განაწილების მოდელში ხარჯები დაჯგუფებულ იქნა შემდეგ კატეგორიებად:

- ქსელის მომსახურების ხარჯები;
- ბილინგის ხარჯები; საკომისიოები;
- მარკეტინგის ხარჯები;
- ამორტიზაცია;
- ზედნადები და საწარმოო მმართველობითი ხარჯები;
- კაპიტალის ღირებულება;
- სხვა ხარჯები.

აღნიშნული ხარჯები საცალო და ურთიერთჩართვის (ზარის წამოწყება/ დასრულება) მომსახურებებზე გადანაწილებულ იქნა, როგორც შესაბამისი ტრაფიკების პროპორციულად, ასევე ამ მომსახურებებზე უშუალოდ გაწეული ხარჯების პროპორციულად.

კომისია ითვალისწინებს დანახარჯების განაწილების მოდელის შედეგებს, აგრეთვე იმ გარემოებებს, რომ: ა) შპს "მობიტელის" საბაზრო წილი მნიშვნელოვნად ნაკლებია შპს "ჯეოსელის" და შპს "მაგთიკომის" საბაზრო წილზე; ბ) შპს "მობიტელი" ოპერირებს საქართველოს სატელეკომუნიკაციო ბაზარზე 4 წელია, როცა მისი კონკურენტი კომპანიები ფუნქციონირებენ 1997 წლიდან; გ) შპს "ჯეოსელისა" და შპს

“მაგთიკომისათვის“ მათი ფუნქციონირების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ურთიერთჩართვის ტარიფების შემცირება ხდებოდა ეტაპობრივად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-4 მუხლის შესაბამისად მიაჩნია, რომ იგივე მიდგომა უნდა იქნას გამოყენებული შპს “მობიტელის“ მიმართაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ შპს “მობიტელისათვის“ სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების (ურთიერთჩართვა) მომსახურების სახეებზე ზედა ზღვრული ტარიფი უნდა განისაზღვროს 11 თეთრის ოდენობით წუთზე, აქციზისა და დღგ-ს ჩათვლით.“

საინტერესოა, რომ კომისიამ „მობიტელისათვის“ მსგავსი „შეღავათის“ დაწესებისას დაარღვია არა მხოლოდ კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების“ შესახებ, არამედ წინააღმდეგობაში მოვიდა თავად წინამდებარე გადაწყვეტილებასთან. კერძოდ, ზემოაღნიშნული კანონის 33-ე მუხლი განსაზღვრავს რა, ბაზრის კონკრეტულ სეგმენტზე, მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე პირთა სპეციფიკური ვალდებულებებიდან ერთ-ერთ - დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულებას, ადგენს: „მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირი ვალდებულია არ დაუშვას კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები, მათ შორის მომხარებელთა რომელიმე ჯგუფის სატარიფო შეღავათების სუბსიდირება სხვა ავტორიზებულ პირთა ან მომხმარებელთა ჯგუფის ხარჯზე.“ კომისიამ კი, წინამდებარე გადაწყვეტილებით მართალია, ერთ-ერთ სპეციფიკურ ვალდებულებად „მობიტელს“ დააკისრა, დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის ვალდებულება, მაგრამ ამ ვალდებულების მთავარი არსი არ მოეხდინა კომპანიას შემოსავლების სუბსიდირება სხვა ავტორიზებული პირების ხარჯზე, კომისიამ თავადავე დაარღვია. რადგან, რადგან ურთიერთჩართვის განსხვავებული ტარიფის დადგენით, რომლის საფუძველიც იყი არა მისი ხარჯზე ორიენტულობა, არამედ კომპანიისთვის როგორც ბაზარზე ახლად შემოსულისთვის შეღავათის გაწევა, მოახდინა შემოსავლების სუბსიდირება არამხოლოდ სხვა მობილური ოპერატორებისგან, არამედ ფიქსირებული ქსელის ოპერატორებისგან. მაგალითად შპს „ახალი ქსელები“ ურთიერთჩართვის ღირებულებას შპს „მობიტელს უხდის 11 თეთრს სხვა მობილურ ოპერატორებს 8 თეთრს. კომისიაც არც კი უმსჯელია ფიქსირებული მომსახურების მიმწოდებელ ოპერატორებთან ურთიერთჩართვის ტარიფის ოდენობაზე, და მათთან მიმართებაში ამგვარი ტარიფის დაწესების სამართლიანობაზე. კომისიის ამ გადაწყვეტილებით უბრალოდ მოხდა შემოსავლების გადაქაჩვა „მობიტელზე“ მხოლოდ იმ მოტივით, რომ „მობიტელი“ ბაზარზე ახლად შემოსული კომპანია, რომელსაც, როგორც ჩანს მისი ალად შემოსულობისა, უკავია ასევე დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე.

კომისიის მსგავსი გადაწყვეტილებები მიუთითებს როგორც კომისიის წევრთა ინტერესის კოფლიქტებზე, ისე წევრთა არაკომპეტენტურობასზე, მათ ქვემდებარეობაში არსებულ საკითხებთან მიმართებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი მოთხოვნაა:

1. მოხდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება საქართველოს კანონში „ელექტრონული კომუნიკაციების“ შესახებ;

2. პორტირებისათვის საჭირო ცენტრალური საინფორმაციო ბაზა, დროებით გადაეცეს, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, დაქვემდებარებაში (მით უფრო, რომ ამ ბაზაში არსებულ მონაცემებს, ისედაც უგზავნის „მედე პრო ჯირჯია“ კომისიას), ვიდრე არ მოხდება ამ საკითხის ბოლომდე შესწავლა, როგორც ფინანსური, ისე სამართლებრივი კუთხით. შესაბამისად, გაუქმდეს ჩატარებული კონკურსის შედეგები;
3. დოკუმენტის გაყალბებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების არსებობა/არარსებობის დადგენის მიზნით, გადაეგზავნოს პროკურატურას მოკველვისათვის მასალები;
4. ვინაიდან აშკარად ნათლად ჩანს, კომისიის მოქმედ წევრთა, ინტერესთა კომფლიქტი მოთხოვნილ ქნას პარალმენტის მიერ მათი უფლებამოსილების შეჩერება.